



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუხათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის

№ 8.

ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ.
საკანონმდებლო კომისი-
ასთან არსებული კანონ-
თა გამოქვეყნების განყო-
ფილების მიერ გამოცემ.

აგვისტოს 20.

განკარგულება პირველი



მუხ. 697. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას- რულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომი- სართს საბჭოსი.

აკსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების დამტკიცების
შესახებ.

სსრკ მე-3 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მე-2 სე-
სიის 1926 წლის აპრილის 25-ს დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად (სსრკ
კან. კრ. 1926 წ. 31 №-რი, მუხ. მუხ, 198 და 199)—ამიერკავკასიის ცენტრა-
ლური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ად-
გენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება აკსფსრ ადგილობრივი ფი-
ნანსების შესახებ.

2. დამტკიცებული დებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1926 წ. ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. ხანოიანი.
ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდო-
მარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებ-
ბელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1926 წ. აგვისტოს 9.
ტფილისი-სასახლე.

დებულება ა/კფსრ ადგილობრივი ფინანსების შესახებ.

პ ა რ ო ლ.

ზოგადი დებულებანი.

1. ადგილობრივი ფინანსები სსრ კავშირის ფინანსთა ერთიანი სისტემის ნაწილია და ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების უშუალო გამგებლობაშია (ან ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში — ქალაქების საბჭოთა პრეზიდიუმის უშუალო გამგებლობაში).

2. ადგილობრივი შემოსავალი და ადგილობრივი სახსარისათვის მიკუთვნებული ხარჯი გათვალისწინებულია სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტით.

3. კანონმდებლობას ადგილობრივი ფინანსების საკითხების გამო განახორციელებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო. აგრეთვე, ამა დებულების საფუძველზე და ფარგლებში, ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და სახალხო კომისართა საბჭოები.

4. ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების უფლება-მოვალეობანი ადგილობრივი ფინანსების სფეროში განისაზღვრება მათ შესახებ გამოცემული დებულებებით და ამა დებულებით.

5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისა და აგრეთვე ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების უფლება-მოვალეობანი ადგილობრივი ფინანსების სფეროში განისაზღვრება ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით, რაც ამა დებულებასთან უნდა იქნეს შეთანხმებული.

6. სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაიმე ხარჯის ადგილობრივ ბიუჯეტზე გადატანა და, საერთოდ, ადგილობრივ ბიუჯეტისათვის მიკუთვნება საერთო საკავშირო და გაერთიანებულ უწყებათა ახალი ხარჯებისა, აგრეთვე სრული ან ნაწილობრივი გაუქმება ადგილობრივი ბიუჯეტის რომელიმე საშემოსავლო წყაროსი ამა დადგენილების 23 და 26 მუხლში დასახელებულთა შორის, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ყოველ ცალკე შემთხვევისათვის გამოცემული დადგენილების თანახმად.

სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამა თუ იმ ხარჯის ადგილობრივ ბიუჯეტზე გადატანა და, საერთოდ, ადგილობრივ ბიუჯეტისათვის მიკუთვნება არაგაერთიანებულ უწყებათა ახალი ხარჯებისა, აგრეთვე სრული გაუქმება ადგილობრივ ბიუჯეტის რომელიმე საშემოსავლო წყაროსი, გარდა ამა დებულების 23 და 26 მუხლებში დასახელებულისა, ან შემცირება სსრ კავშირის კანონმდებლობით ამ შემოსავალთა დაწესებული რაოდენობისა — შეიძლება მოხდეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თითოეულ ცალკე შემთხვევისათვის გამოცემული დადგენილების თანახმად ან თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამა მუხლში აღნიშნული დადგენილებანი სამოქმედოდ შემოიღება უახლოეს საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან, იმ პირობით, რომ ეს დადგენილებანი ამ ვადამდე ოთხი თვით ადრე მიიღო იქნება გამოქვეყნებული; ხოლო ის დადგენილება, რომელიც საბიუჯეტო წლის დადგომამდე ოთხ თვეზე გვიან იქნება გამოქვეყნებული, სამოქმედოდ შემოიღება მისი მომდევნო საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან (სსრკ ცენტ. აღმ. კომ. მიერ დამტკ. ადგილ. ფინანს. დებულების მე-7 მუხ.).

შენიშვნა. მუხლი ესე არ გავრცელდება ცალკე გადახდელთა ან მათი კატეგორიებისათვის გადასახადისა და გამოსაღების შეღავათთა მინიჭებაზე, რაც უნდა სწარმოებდეს საერთო საფუძველზე სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამაბრ.

7. ადგილობრივი ბიუჯეტიდან რაიმე ხარჯის ა/კსფსრ ან ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტზე გადატანა შეიძლება მოხდეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯების საერთო-საკავშირო ბიუჯეტზე გადატანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით (სსრკ ცენტ. აღმ. კომ. მიერ დამტკ. ადგ. ფინანს. დებ. მე-8 მუხ.).

8. სხვადასხვა ხარისხის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულთა ადგილობრივი ბიუჯეტებს შორის ადგილობრივი საშემოსავლო წყაროებისა და

ადგილობრივ სახსარისათვის მიკუთვნებულ ხარჯების განაწილების წესი დადგენილ იქნება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

9. ხარჯებისა და საშემოსავლო წყაროების გადანაწილება სხვადასხვა ხარისხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულთა ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შეიძლება მართოდ აღენ საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

პ ა რ ი ი I I.

ადგილობრივი სახსარისათვის მიკუთვნებული ხარჯები.

10. ადგილობრივ სახსარს მიეკუთვნება ამა კარის ქვემოხსენებულ მუხლებში აღნიშნული ხარჯები:

ა) საბჭოთა ადგილობრივ დაწესებულებების შესანახი ხარჯები; ბ) კომუნალური მეურნეობისა; გ) სახალხო განათლებისა; დ) სახალხო ჯანმრთელობისა; ე) სოციალური უზრუნველყოფისა; ვ) სასოფლო მეურნეობისა; ზ) ადგილობრივი ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობისა; თ) ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ვაჭრობისა; ი) უმუშევრობასთან ბრძოლისა; კ) სსრ კავშირის თავდაცვის საჭიროების დაკმაყოფილებისა; ლ) ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ღონისძიებათა განსახორციელებელი ხარჯები—ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების სპეციალურ დადგენილებათა საფუძველზე.

შენიშვნა. ისეთი ტერიტორიის მომსახურე დაწესებულებათა შენახვა, რომელიც სცილდება ერთი ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა და ერთი ისეთი მაზრისა, რაც ავტონომიურ რესპუბლიკის შედგენილობაში არ შედის, აგრეთვე ხარჯები იმ ღონისძიებათათვის, რაც ერთ-ერთ აღნიშნულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულზე უფრო მეტ ერთეულზე ვრცელდება, მიეკუთვნება საერთო სახელმწიფო ხარჯებს.

11. ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებების შესანახად ადგილობრივ სახსარისათვის დაკისრებულ ხარჯებს ეკუთვნის:

ა) საბჭოების არჩევისა, სამაზრო, სარაიონო, სათემო, სადაირო და მათი თანაბარი საბჭოების ყრილობათა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების პლენუმების მოწვევის ხარჯები;

ბ) სამაზრო, სარაიონო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათთან არსებული საეგემო ორგანოებისა, აგრეთვე სოფლის და მისი თანაბარი საბჭოებისა, ქალაქის საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმებისა ან აღმასრულებელი კომიტეტების შესანახი ხარჯები;

გ) სარაიონო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების ყველა ორგანოს შესანახი ხარჯები, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ქვემოდ ჩამოთვლილ ორგანოთა შესანახი ხარჯები: 1) იმ ორგანოთა, რომელ-

ნიც ადმინისტრაციულ საქმეებს განაგებენ, გარდა ა/კ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოებისა, 2) საადგილ-მამულო ორგანოებისა, 3) სახალხო განათლების ორგანოებისა, 4) ჯანმრთელობის ორგანოებისა, 5) სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებისა, 6) კომუნალური და ადგილობრივი მეურნეობის ორგანოებისა;

დ) სახალხო სასამართლოებისა, მათი განსაკუთრებული სესიებისა შრომის საქმეთათვის და საუბნო გამოძიებელთა შესანახი ხარჯები, მათ შორის ხარჯები სახალხო მსაჯულებისა, მოწმებისა და ექსპერტებისათვის კანონით დაწესებული გასამრჯელოს მისაცემად;

ე) აზერბაიჯანის სსრ-ში—სადაირო, სომხეთის სსრ-ში—საუბნო და საქართველოს სსრ-ში—სათემო, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების მაზრებში—სამაზრო საადგილ-მამულო კომისიების შესანახი ხარჯები;

ვ) საბჭოების მუშათა და გლეხთა მილიციისა, სისხლის სამართლის მოკვლევის ორგანოთა და საპატიმრო სახლების შესანახი, აგრეთვე საუბნო, სათემო და სადაირო საპატიმრო ადგილებისა და ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში შემავალი მაზრების საპატიმრო ადგილების შესანახი ხარჯები;

ზ) ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში მყოფი არქივების ბიუროებისა, საარბიტრაჟო კომისიებისა, ინჟენერთა სამმართველოებისა და ფიზიკური კულტურის საბჭოების შესანახი ხარჯები.

შენიშვნა 1. ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოების რესპუბლიკანურ ყრილობათა და ავტონომიურ ოლქების საბჭოების საოლქო ყრილობათა მოსაწვევი ხარჯები; ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების ხარჯები, ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქების აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათთან არსებული საგემო კომისიების შესანახი ხარჯები, აგრეთვე აღნიშნული აღმასრულებელი კომიტეტების სესიათა მოსაწვევი ხარჯები—მიეკუთვნება საერთო სახელმწიფო სახსარს.

შენიშვნა 2. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, აგრეთვე ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, რომელსაც უჭირავს საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ან კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ დაწესებულებაში ან საწარმოში სასყიდლიანი თანამდებობა, გასამრჯელოს ადგილობრივი სახსარიდან არ მიიღებს.

შენიშვნა 3. სატყეო მეურნეობისა, სამელიორაციო და მიწათმოქმედების ყველა ადგილობრივი ორგანოების შენახვა საერთო-სახელმწიფო სახსარს მიეკუთვნება.

შენიშვნა 4. შენახვა საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში შემავალი განყოფილებებისა ან ნაწილებისა, რომლებიც მარტოოდენ სამხედრო საქმეებს განაგებენ (სადაც ისინი არსებობენ),—საერთო-სახელმწიფო სახსარს მიეკუთვნება.

შენიშვნა 5. შენახვა სამაზრო, — გარდა იმ მაზრებისა, რომლებიც

ავტონომიურ რესპუბლიკის შედგენილობაში შედიან, — სასანიტარო და საბეთლო ექიმებისა მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფო სახსარს.

12. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებული კომუნალური მეურნეობის ხარჯებს ეკუთვნის ხარჯები კომუნალურ ქონებათა და საწარმოთა შესანახი, დასახლებული პუნქტების წესიერად მოწყობისა, კომუნალური მშენებლობისა, მათ შორის ცეცხლისმძლე და ხანძრისაგან დაცვის მშენებლობა.

13. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ სახალხო განათლების ხარჯებს ეკუთვნის:

ა) დაბალი ტიპის სხვადასხვა პროფესიონალურ-ტექნიკური (სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამხატვრო-სამრეწველო) სკოლებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის მოკლე ვადიანი კურსების მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები; სკოლის-გარე პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების ხარჯები;

ბ) 1) პირველი საფეხურის სკოლებისა, 2) მეორე საფეხურის სკოლებისა, შვიდწლელი და ცხრაწლელი სკოლებისა, 3) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისა, 4) საბავშვო სახლებისა და ახალშენებისა, 5) საბავშვო ბაღებისა, მოედნებისა, კერისა, 6) მოზარდთა სკოლების მოსაწყობი და სახელსაწყო ხარჯები;

გ) ქობ-სამკითხველოებისა, გლეხთა სახლებისა (გარდა ცენტრალური გლეხთა სახლებისა თითო-თითო ა/კსტსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში), კლუბებისა, სახალხო სახლებისა, ბიბლიოთეკებისა, წერა-კითხვის უკოდინარობის და მცირე-ცოდნის სალიკვიდაციო სკოლებისა, მათ შორის წვევამდელთათვისაც, მოზრდილთა სკოლებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის პოლიტგანათლების სკოლების მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები, სოფლის მოძრავ-სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური პერსონალის გამოკლებით;

დ) მუზეუმებისა, სამხატვრო გალერეებისა, თეატრებისა, სტუდიებისა, გამოფენებისა, ექსკურსიებისა, არქივებისა, სამეცნიერო დაწესებულებათა და აგრეთვე სხვა კულტურულ-განმანათლებელ ღონისძიებათა და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა შესანახი ხარჯები.

შენიშვნა 1. სხვადასხვა ტიპის საცდელ-საჩვენებელი ხასიათის სკოლებისა, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სკოლებისა (ყრუ-მუნჯთათვის, ზუსინათლოთათვის და სხვ.) მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფო სახსარს, თანახმად იმ სიებებისა, რასაც დაამტკიცებს ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსტსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „დ“ პუნქტში ჩამოთვლილ იმ დაწესებულებათა და ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები, რომელთაც საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე მთავარ სამეცნიერო სამმართველოს და პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს საჩვენებელ დაწესებულებათათვის, — მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფო სახსარს, თანახმად განსაკუთრებული სიებისა, რასაც დაამტკიცებს ა/კსტსრ სახალხო კომი-

სართა საბჭო, ა/კფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით.

14. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ სახალხო ჯანმრთელობის ხარჯებს ეკუთვნის:

ა) სამკურნალო დაწესებულებათა მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები, ქვემოაღნიშნულ ხარჯების გამოკლებით, რაც საერთო-სახელმწიფო სახსარს მიეკუთვნება: 1) ფსიქიატრული სამკურნალო დაწესებულებებისა, განსაკუთრებული სიის მიხედვით, რასაც დაამტკიცებს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით, 2) სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებისა, სასანიტარო-ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტებისა და სხვა დაწესებულებებისა, რომელთაც საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებული სიის მიხედვით, რასაც დაამტკიცებს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით, 3) იმ სამკურნალო დაწესებულებებისა, რომლებიც მომსახურობას უწყევენ საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ საპატიმრო ადგილებს, 4) სოციალურ სწეულებათა წინააღმდეგ შერბოლ დაწესებულებებისა და დისპანსერების, სარაიონო საპროტეზო სახელოსნოებისა, აგრეთვე სამალარიო და პასტერის სადგურებისა, თანახმად განსაკუთრებული სიებისა, რასაც დაამტკიცებს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით, 5) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შესანახი, სასამართლო-სამედიცინო ლაბორატორიების შესანახი, თანახმად ამ ლაბორატორიების განსაკუთრებული სიებისა, რასაც დაამტკიცებს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით, აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო სალაბორატორიო გამოკვლევებისა, 6) კეთროვანთათვის სამკურნალო დაწესებულებებისა და ახალშენებისა და კეთრთან საბრძოლველ ღონისძიებისათვის, 7) რკინის გზებისა და წყალსაგვალ გზების ჯანმრთელობის განყოფილებების სასანიტარო მომსახურობისა და შენახვისა, აგრეთვე საიზოლაციო-გამშვები პუნქტების შენახვისათვის, 8) საევაკუაციო ხასიათის სამკურნალო დაწესებულებებისა, 9) საზღვაო საზღვრების სანიტარული დაცვის დაწესებულებათა შესანახი ხარჯები;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისა, საჯანმრთელოებისა და სხვა ანალოგიური დაწესებულების მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები;

გ) დედობისა და ჩვილობის დაცვისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები, საერთო-სახელმწიფო სახსარზე მიღებულ ამგვარ საჩვენებელ დაწესებულებათა გამოკლებით, თანახმად განსაკუთრებული სიისა, რასაც დაამტკიცებს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის სასანიტარო, სასანიტარო-სატექნიკო, სასანიტარო-საგანმანათლებლო და სასანიტარო-სასტატისტიკო ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები;

ე) ხარჯები ავადმყოფთა ტრანსპორტისათვის იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების ფარგლებში, რაც ნაჩვენებია ამა დებულების მე-10 მუხ. შენიშვნაში;

ვ) ხარჯები სოციალური და გადამდები სენის თავიდან ასაცილებლად და მასთან საბრძოლველად, ისეთ საამისო ღონისძიებათა გამოკლებით, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

15. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ ხარჯებს ეკუთვნის:

ა) სოციალური უზრუნველყოფის საინვალიდო დაწესებულებათა შესანახი ხარჯები, გარდა საერთო-სახელმწიფო სახსარისათვის მიკუთვნებული ხარჯებისა ამგვარ საჩვენებულ დაწესებულებებისათვის, თანახმად განსაკუთრებული სიებისა, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ სასახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის საინვალიდო შენაერთებისათვის სუბსიდიის მისაცემად საჭირო ხარჯები;

გ) ინვალიდთა სწავლების ხარჯები;

დ) მათხოვრობასთან და პროსტიტუციასთან ბრძოლის ხარჯები;

ე) ქალაქად არსებულ საურთიერთო დამხმარე ადგილობრივი ორგანოებისათვის სუბსიდიების მისაცემად საჭირო ხარჯები;

ვ) ამა დებულების მე-10 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების ფარგლებში ინვალიდების გადაყვან-გადმოყვანის ხარჯები;

ზ) გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა და მათი თანაბარი ორგანოების მოწყობისა და მათთვის სუბსიდიების მისაცემად საჭირო ხარჯები;

თ) ომის ინვალიდებისა, მათი ოჯახებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის პენსიის მისაცემად საჭირო ხარჯები;

ი) ადგილობრივ საბჭოების მიერ დანიშნული პერსონალური პენსიების მისაცემად საჭირო ხარჯები.

შენიშვნა. ამა მუხლის „თ“ პუნქტში აღნიშნული ხარჯების 25% დაიფარება საერთო-სახელმწიფო სახსარით.

16. სოფლის მეურნეობისათვის ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ ხარჯებს ეკუთვნის:

ა) საცდელ და საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა (მეტეოროლოგიური სადგურებისა, საცდელი მინდვრებისა, საგრილებელ პუნქტებისა, სანერგებისა, საფუტკრეებისა და სხვა აგრიკულტურულ საჩვენებელ დაწესებულებების) მოწყობისა, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები, გარდა საერთო-სახელმწიფო სახსარისათვის მიკუთვნებული ხარჯებისა ამგვარ საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის დაწესებულებათათვის, თანახმად განსაკუთრებული სიებისა, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით; ადგილობრივ მნიშვნელობის საცდელ და საცდელ-საჩვენებელ ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები;

ბ) ხარჯები ჰიდრო-ტექნიკურ, დასაშრობ, წყალსაგდებ და ყოველგვარი სამელიორაციო სამუშაოსათვის, რასაც საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა არა აქვს (ამოშრობა ჭაობებისა, ველებისა, მინდვრებისა, გამაგრება ქვიშიანი ადგილებისა და ხრამებისა, ვაკეთება საგუბრებისა და სხვ.);

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის სამკედლოებისა და სასოფლოსამეურნეო იარაღების შემაკეთებელი სახელოსნოების მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები;

დ) არა საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის გამჭირავებელი პუნქტებისა, მარცვლეულობის საწმენდი სადგურებისა, თესლეულობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების საწყობების მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები;

ე) ხარჯები სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლისათვის, საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საამისო ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით;

ვ) საბეითლო-სამკურნალო დაწესებულებათა შესანახი და შინაური პირუტყვის გადამდებ სენთან ბრძოლისათვის საჭირო ხარჯები, ვარდა რქოსანი საქონლის ჭირისა, ქოთასი, მოარული ფილტვების ანთებისა, ციმბირის ჭირისა, ღორისა და ცხვრის მოარულ სენისა და აქლემის ტრეპანოზამოზის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ხარჯებისა, რაც საერთო-სახელმწიფო სახსარს მიეკუთვნება; ყველა სხვა ხარჯი საბეითლო-სასანიტარო დარგში, რასაც არა აქვს საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა;

ზ) საუბნო აგრონომიული და ზოოტექნიკური ქსელის მოსაწყობი, სახელსაწყო და შესანახი ხარჯები;

თ) ადგილობრივი მნიშვნელობის ხასიათის სავანმანათლებლო-აგრონომიული პროპაგანდისა, სასოფლო-სამეურნეო ყრილობებისა, გამოფენებისა, ლექციების მოწყობისა და სხვა ამგვარი ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები;

ი) საექსპლოატაციო ხარჯები ადგილობრივი მნიშვნელობის სამემოსავლო წყაროებისა და აგრეთვე იმქსაბჭოთა მეურნეობებისა, რაც საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის შენაერთში არ შედის;

კ) წანახშის ამრლებასთან და ადგილობრივი მნიშვნელობის წილის დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯები;

17. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ ადგილობრივ ტრანპორტისა და საგზაო მშენებლობის ხარჯებს ეკუთვნის:

ა) სასოფლო და სამინდვრე გზებისა და ამ გზების საგზაო ნაგებობათა, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის შარავზებისა და გზატკეცილებისა და ამ გზების საგზაო ნაგებობათა მოწყობისა და შენახვისათვის საჭირო ხარჯები;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ნავსაყუდრებისა და ფონებისა მოწყობისა და შესანახი ხარჯები;

გ) ადგილობრივი საცხენოსნო კავშირგაბმულობის ხარჯები („იამშიჩინა“);

დ) ადგილობრივი ტრანსპორტის სხვა საწარმოთა და ღონისძიებათათვის საჭირო ხარჯები.

18. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ ხარჯებს ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში ეკუთვნის ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში მყოფ იმ სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოთა მოწყობასა და ექსპლოატაციასთან, რომელნიც გადაყვანილ არ არიან კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე.

19. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ხარჯებს ეკუთვნის უმუშევართა საზოგადოებრივი სამუშაოს, საწარმოს და შრომის კოლექტივებისა, აგრეთვე უმუშევართათვის საერთო-საცხოვრებელი ადგილებისა და სასადილოების მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯები.

20. ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ სსრკ თავდაცვის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გასაწევ ხარჯებს ეკუთვნის:

ა) სადგომების მიჩენა:

1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ყველა ჯარის ნაწილისა (მათ შორის ა/კ. სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს და საბადრაგო რაზმის ჯარის ნაწილებისა) და მათი შენაერთების, რაც ერთ კორპუს არ აღემატება, საყაზარმოდ მოთავსებისა და საბანაკოდ დადგომისათვის.

2. ზემოაღნიშნულ ნაწილთა შტაბებისათვის, აგრეთვე იმ დაწესებულებათათვის, რომლებიც საშტატო განაწევრით მიკუთვნებულ არიან ამ შტაბებსა და ზემოხსენებულ ჯარების ნაწილებისათვის, გარდა იმ მოძრავი დაწესებულებებისა, რომელნიც მომსახურებას უწევენ ისეთ რაიონს, რაც ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ფარგლებს სცილდება, აგრეთვე ისეთი მაზრის ფარგალს, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის შედგენილობაში არ შედის.

3. საკორპუსო, სადივიზიო და რესპუბლიკანურ ტერიტორიალურ სამმართველოებისათვის, სამაზრო და მათი თანაბარი სამხედრო კომისარიატებისათვის — საშტატო განაწევრით, ყველა მათთვის მიკუთვნებული ნაწილებითა და დაწესებულებით.

4. საკომენდანტო სამმართველოებისათვის — საშტატო განაწევრით ყველა მათთვის მიკუთვნებული ნაწილითა და დაწესებულებით.

5. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სასანიტარო და საბეითლო სამკურნალო დაწესებულებათათვის, გარდა ამგვარივე მოძრავი დაწესებულებისა, რაც მომსახურებას უწევს მთელ რაიონს. რომელიც სცილდება ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ფარგალს, აგრეთვე იმ მაზრის ფარგალს, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის შედგენილობაში არ შედის.

ბ) შემდეგი ხარჯები წვევამდებთა მომზადებისა, ჯარგარეშე მომზადებისა და ტერიტორიალურ ნაწილთა ცვალებადი შედგენილობის მოკლევადიან შეკრებილობისათვის:

1. საბხედრო-სასწავლო პუნქტებისათვის სადგომების მიჩენა, მოწყობა და გამართვა.

2. აღნიშნული სადგომების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

3. შეკრებილობის დროს სათბობი მასალის მიწოდება გასათბობად, საქმელ-სასმელის მოსამზადებლად და დასაბან-დასარეცხად.

4. შეკრებილობის დროს აღნიშნული პუნქტებისათვის კომუნალური მომსახურების გაწევა (განათება, წყლის მიწოდება, ასენიზაცია, სახლის მიწების გაწმენდა).

5. შეკრებილობის დროს სამკურნალო-სასანიტარო დახმარების გაწევა.

6. ლეიბებისათვის ჩაღის მიწოდება.

გ) მობილიზაციისა და ჯარში გაწვევის დროს შეკრებილობის პუნქტების მიჩენისა, მოწყობისა და შეკეთების ხარჯები; მობილიზაციის დროს ამ პუნქტებისათვის სათბობის ხელუხლებელი მარაგის დამზადება, ხოლო ყოველწლიური მორიგ გაწვევის დროს ამა მუხ. „ბ“ ს-ში ჩამოთვლილი ყველა ხარჯის გაწევა აღნიშნული შეკრებილობის პუნქტებისათვის;

დ) მოწყობა და ჯეროვანად შენახვა ცხენების ჩასაბარებელი პუნქტებისა მობილიზაციის საშემთხვეოდ; ამასთანავე, უკეთუ ადგილობრივი პირობების მიხედვით შეუძლებელია ასეთი პუნქტების მოწყობა, ნებადართულია მათი შეცვლა ცხენსაბამი ადგილებით, სინხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს თანხმობით;

ე) ჩვეულებრივი მიმდინარე რემონტი ყველა შენობისა, რომელიც უჭირავს წითელი არმიის ნაწილებს და დაწესებულებებს.

შენიშვნა 1. ბანაკების გასამართავი და მოსაწყობი ხარჯები მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფო სახსარს.

შენიშვნა 2. საწვევამდედო მომზადებისათვის გაწვეულ მოქალაქეთა საკვები ხარჯები გაიღება სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის 31 მუხ. თანახმად (სსრ კავშირის კან. კრებ. 1925 წ. 62 №-რი, მუხ. 463) საერთოსახელმწიფო სახსართა ანგარიშით. ამავე საფუძველზე გაიღება ჯარგარეშე მომზადებისათვის გაწვეულ მოქალაქეთა საკვები ხარჯები.

შენიშვნა 3. იმ ადგილებში, სადაც ჯარები ბლომად არის დაგროვილი, ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტს და სამაზრო აღმასრ. კ-ტს, უკეთუ ადგილობრივი სახსარი საკმარისი არ იქნება, კერძოდ, მიმდინარე რემონტისათვის, ამა მუხლში აღნიშნულ ხარჯების დასაფარავად საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მიეცეს სპეციალური თანხები.

21. ადგილობრივ საბჭოებს დაეკისრებათ მე-20 მუხ. „ა“ ლიტ-ში ჩამოთვლილ ნაწილთა და დაწესებულებათათვის ქვემოაღნიშნული კომუნალური მომსახურების გაწევა:

ა) ელექტრონის ენერჯისა, აიარისა და გასანათებელი მასალით;

ბ) წყალსადენის წყლის მიწოდებით;

გ) საასენიზაციო სამუშაოს შესრულებით;

დ) საკვამლე მიწების გაწმენდით;

ამა მუხლში ჩამოთვლილი ხარჯები ანაზღაურებულ უნდა იქნეს საერთო-სახელმწიფო სახსარიდან კვარტალობით.

კომუნალური მომსახურების ნორმებს დააწესებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო. სხვადასხვა მომსახურების სასყიდლის ნიხრს დააწესებს სსრკ სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებული, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთანაა, ა/კსფსრ-ში შენგავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და ადგილობრივი საბჭოების მიერ წარდგენილი ცნობების მიხედვით. შეუთანხმებლობას გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საერთო საკავშირო ბიუჯეტით ამ ხარჯების ანაზღაურების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატთან და ა/კ სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დამტკიცებული წესების თანახმად.

შენიშვნა. მე-20 მუხლის „ა“ 3-ში გათვალისწინებული ნაწილები-სა და დაწესებულებების მიერ დატვირთული ყველა სადგომში და ეზოში საასენიზაციო სამუშაოთა წარმოება დაეკისრება, ამა მუხლის წესისამებრ, ადგილობრივ საბჭოებს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ სამუშაოს თვით ნაწილი და დაწესებულება ვერ შეასრულებს სათანადო სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობის გამო.

პ ა რ ი III.

ადგილობრივი შემოსავალი.

22. სათანადო ადგილობრივი საბჭოს სახსარში მიიქცევა შემდეგი შემოსავალი:

ა) ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში ქონებული საცხოვრებელი შენობებისა, სავაჭრო-სამრეწველო სადგომებისა და სხვა შენობებისა;

ბ) საქალაქო მიწებისა, აგრეთვე იმ მიწებისა, წილისა, ტყეებისა და თევზის საჭერ ადგილებისა, რაც კანონით, განსაკუთრებული წესისამებრ, გადასულია ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში;

გ) საქალაქო მიწების დამატებითი რენტისა—საამისო განსაკუთრებულ კანონმდებლობათა საფუძველზე;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის კომუნალურ, სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. საწარმოთა, როგორც ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფთა, ისე კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედთა;

ე) ადგილობრივი საბჭოების სააქციო საზოგადოებებში (საბაიო ამხანაგობებში) და სხვა საწარმოში მონაწილეობისა;

ვ) ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოების მიერ ტყის სამეურნეო წესით დამუშავებისა და საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების არაპირდაპირი წესით გამოყენებისა;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ფონდების რელიზაციისა;
 თ) ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში გადაცემული სხვა ქონებისა;
 ი) სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადგილობრივი საბჭოების მიერ ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმებისა, იმ ჯარიმათა გამოკლებით, რასაც, სსრ კავშირისა, ა/კფსრ-სა და ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის თანახმად, სპეციალური დანიშნულება აქვს;

კ) იმ დაწესებულებათა და ღონისძიებათა შემოსავალი, რომელთა შორის პირველთა შერჩევა და მეორეთა განხორციელება მიკუთვნებულია ადგილობრივი სახსარისათვის, ხოლო ისეთების გარდა, რაც სპეციალური კანონით საერთო-სახელმწიფო შემოსავლისათვის არის მიკუთვნებული;

ლ) სხვა შემოსავლისა, რაც, სპეციალური კანონის თანახმად, ადგილობრივ სახსარში უნდა მიიქცეს.

შენიშვნა 1. წესი ადგილობრივი საბჭოს შემოსავალში იმ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოს მოგების მიქცევისა, რომელიც კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მოქმედებს (ამა მუხლის „დ“ პ.), განისაზღვრება ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების განსაკუთრებული კანონისამებრ, ა/კფსრ და სსრკ კანონმდებლობასთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. უკეთუ ამა მუხლის „კ“ პუნქტში ვათვალისწინებული ესა თუ ის შემოსავალი ა/კფსრ-ში შემავალი რომელიმე რესპუბლიკის კანონმდებლობით ცნობილ იქნება სპეციალურ სახსრად, ეს შემოსავალი სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტში აღინუსხება ბალანს-გარე მუხლებით.

შენიშვნა 3. ამა მუხლის „ი“ პ. ვათვალისწინებული ყველა ჯარიმა ჩაირიცხება სამაზრო ბიუჯეტებისა და მათი თანაბარი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში.

23. ადგილობრივ სახსარში მიიქცევა:

ა) ანარიცხი სახელმწიფო სარეწავი გადასახადით შემოსული თანხისა — 50 % -ს რაოდენობით; გადასახადის ანარიცხის საერთო თანხას ა/კფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში გაანაწილებს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამ რესპუბლიკის ცალკე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებს შორის, მათი საერთო ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით;

ბ) ა/კფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით შემოსული საერთო თანხის ანარიცხი 66 $\frac{2}{3}$ % რაოდენობით შემდეგნაირად განაწილდება:

1) აღნიშნული გადასახადით შემოსული თანხის 40 % თვითეულ თემსა, დაირსა და უბანში ჩაირიცხება ამ თემისა, დაირისა და უბნის ბიუჯეტში;

2) შემოსავლის 16 $\frac{2}{3}$ % თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე მაზრაში, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის შედგენილობაში არ შედის, ჩაირიცხება სამაზრო ბიუჯეტში და სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ბიუჯეტში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დაბალი საფენურის ბიუჯეტების გასაძლიერებლად, ისე სხვა ადგილობრივი ბიუჯეტების განსამტკიცებლად;

3) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით შემოსული თანხის 10 % -ს ა/კფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში გაანაწილებს ამ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, მათი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით, სათანადო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში შესატანად.

შენიშვნა. იმ ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში, სადაც მაზრაზე მცირე საბიუჯეტო ერთეული არ არის, როგორც 40 % -ს, ისე 16 2/3 % -ანი ანარიცხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა ჩაირიცხება ამ რესპუბლიკისა და ოლქის სამაზრო ბიუჯეტში.

გ) მემკვიდრეობისა და გააჩუქების წესით გადასასვლელ ქონების გადასახადით შემოსული თანხის ანარიცხი—50 % -ის რაოდენობით;

დ) მიღებული სატყეო შემოსავლის ანარიცხი—40 % -ის რაოდენობით;

ე) საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საადგილ-მამულო ქონებათა ექსპლოატაციით მიღებული შემოსავლის ანარიცხი—50 % -ის რაოდენობით;

ვ) საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის წანახშის ქაობთა ექსპლოატაციით მიღებული შემოსავლის ანარიცხი—50 % -ის რაოდენობით;

ზ) საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის თევზის სამრეწველო და ზღვის მხეცთა-სამრეწველო მამულების იჯარით მიღებული შემოსავლის ანარიცხი—50 % -ის რაოდენობით;

თ) სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ მიღებული წმინდა მოგების ანარიცხი—50 % -ის რაოდენობით—სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ოპერაციებისა და 20 % -ის რაოდენობით—სახელმწიფო დაზღვევის სხვა ოპერაციებისა, ხოლო იმ მოგების გამოკლებით, რაც მიიღება სატრანსპორტო დაზღვევით და სსრ კავშირის სახელმწიფო დაწესებულებათა ქონებისა და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა დაზღვევით;

ი) ანარიცხი რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ფონდების რეალიზაციით მიღებული თანხებისა—40 % რაოდენობით;

კ) ანარიცხი სამანდატო გამგებლობის წესით ა/კფსრ ორგანოთა განკარგულებაში გადაცემულ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა მოგების ნაწილისა, რაც, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისამებრ, შეიტანება ა/კფსრ შემოსავალში განსაზღვრული რაოდენობით; აგრეთვე ა/კფსრ ცენტრალური ორგანოების მიერ ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ორგანოებისათვის სამანდატო გამგებლობაში გადაცემულ საწარმოთა მოგების ნაწილი, იმ რაოდენობით, რასაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრავს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო;

ლ) დამზადების რაიონთა ადგილობრივი საბჭოების შემოსავალში მისაქცევი ანარიცხი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა და მარტოოდენ სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო აშხანაგობათა) მიერ წარმოებული ბეწვეულისა, პურ-ფურაჟისა, ერბოსი, ტყავისა და სხვა სახის ნედლეულის დამზადებისა და გასაღების ოპერაციების წმინდა მოგებისა—იმ რაოდენობით და საფუძვლით, რასაც განსაკუთრებული დადგენილებით დააწესებს სსრ კავშირის სახალხო კო-

მისართა საბჭო (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის მიერ დამტკიცებული ადგილ. ფინანს. დებულების 24 მუხ. „ლ“პ.);

მ) სასამართლო ბაჟის შემოსავლის 100 % იმ საქმეებზე, რაც განხილულ უნდა იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასამართლო დაწესებულებების მიერ.

შენიშვნა 1. სახელმწიფო მიწების მარაგის ექსპლოატაციის შემთხვევითი ხასიათის შემოსავალი ჩაირიცხება მთლიანად ადგილობრივ სახსარში.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „თ“ პ-ში აღნიშნული ანარიცხები, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში მიღებისათანავე, განაწილება ამ უკანასკნელის მიერ პროპორციულად ა/კფსრ-ში შემავალი თვითუფლები რესპუბლიკის ტერიტორიაზე სათანადო ოპერაციებით მიღებული სადასახალვეო პრემიის თანხებისა, და დაინიშნება მარტოდღენ იმ უბედურ შემთხვევებთან ბრძოლისა და მათი თავიდან აცდენის ღონისძიებისათვის, რაც გათვალისწინებულია დაზღვევით: ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები ანარიცხებად შემოსულ თანხებს განაწილებენ ქვემდებარე ადგილობრივ საბჭოებს შორის, სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანად.

24. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ და აკრიფონ ზედნართი შემდეგ სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე:

ა) სახელმწიფო სასარეწო გადასახადზე შემდეგი რაოდენობით:


1) არა უმეტეს 100 %-სა ფუფუნების საგანთა წარმოებისა და ვაჭრობის პატენტის ფასისა (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი) და არა უმეტეს 100 %-სა სათანადო გამოსაღების განაკვეთისა ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოზე, ამა მუხლის „ა“ პუნქტის მე-2 და მე-3 დანაყოფში აღნიშნულთა გამოკლებით, და აგრეთვე არა უმეტეს 100 %-სა პირადი სარეწავე მოსაქმეობის პატენტის ფასისა;

2) სპირტის სასმელების (არყისა, ღვინისა და ლუდის) იქვე ადგილობრივ დასალევედ გამყიდველ საწარმოთათვის—არა უმეტეს 200% ფუფუნების საგანთა წარმოებისა და ვაჭრობის პატენტის ფასისა (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი) და არა უმეტეს 150 % საამისოვე სათანადო გამოსაღების განაკვეთისა;

3) სპირტის სასმელების (არყისა, ღვინისა და ლუდის) ან საქმლის იქვე, ადგილობრივ, მოსახმარად გამყიდველ საწარმოთათვის, რომელნიც ვაჭრობას, სათანადო ადგილობრივი ორგანოს განსაკუთრებული ნებართვის თანახმად, 22 საათზე გვიან აწარმოებენ,—არა უმეტეს ფუფუნების საგანთა წარმოებისა და ვაჭრობის პატენტის ფასის (როგორც ძირითადი ისე დამატებითი) 300 %-სა და არა უმეტეს საამისოვე სათანადო გამოსაღების განაკვეთის 200 %-სა;

ბ) სასმელებისა და თამბაქოს ნაქეთობის გაყიდვის უფლებისათვის არსებულ განსაკუთრებულ პატენტის ფასზე არა უმეტეს განსაკუთრებული პატენტის ფასის 100 %-სა;

გ) სახელმწიფო საერთო-საშემოსავლო გადასახადზე—არა უმეტეს გადასახადის განაკვეთის 25 %-სა;



- ა) შენობების გადასახადი (მუხ. 29—32);
- ბ) იმ ტვირთის გადასახადი, რაც შემოიზიდება და გაიზიდება რკინისგზით და წყალსაველი გზით (მუხ. 33—38);
- გ) იმ გარიგების გადასახადი, რაც დაიდება ან აღინუსხება ბირჟაზე (მუხ. 39);
- დ) ოქროს სამრეწველო საწარმოს გადასახადი (მუხ. 40);
- ე) სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადი (მუხ. 41—45);
- ვ) მერქანის გადასახადი, რაც გადახდებიანებულ იქნება სამორე სასყიდლის პროცენტული ზედნართის სახით (მუხ. 46—49);
- ზ) გამოსაღები ოთხფეხი საქონლისა და დაკლული ცხოველის უმი პროდუქტების სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯისათვის (მუხ. 50—56);
- თ) გადასახადი და გამოსაღები, რის დაწესებაც ნებადართულია ამა დებულების 57 მუხლის წესით.

28. ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდისაგან განთავისუფლდება:

- ა) უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობა სსრ კავშირის მთავრობასთან;
- ბ) საკონსულო წარმომადგენლობა—ურთიერთობის საფუძველზე;
- გ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებები და სამმართველოები და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-სასანიტარო სამმართველოები—საშტატო და სატაბელო ქონების სფეროში;
- დ) წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა დაწესებულებანი, რომელნიც ანხორციელებენ აღნიშნულ საზოგადოებებზე უშუალოდ დაკისრებულ მიზნებს, როგორიც არის: აფთიაქი, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და სხვ. ამგვარი დაწესებულება, უკეთუ ამ დაწესებულებათა შემოსავალი სისავსით ხმარდება იმ მიზნის განხორციელებას, რაც დაკისრებული აქვთ აღნიშნულ საზოგადოებათ;
- ე) ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოება და მისი ორგანოები;
- ვ) საპაიო ამხანაგობა „სახალხო კვება“, მისი განყოფილებები, სასადილოები და დამხმარე საწარმოები, რომელთა პროდუქციაც კერძო ბაზარზე გასასაღებლად არ არის დანიშნული; აგრეთვე მის უშუალო კონტროლის ქვეშ მყოფი სასადილოები, მუშათა და მოსამსახურეთა კოოპერატივების მიერ მოწყობილი;
- ზ) საერთაშორისო წითელი სტადიონის მშენებელთა საზოგადოება—მის მიერ მოწყობილ სახალხო სანახაობათა და გასართობთა სფეროში, იმზუფეტებისა, კიოსკებისა და სხვა სამეურნეო საწარმოთა გამოკლებით, რომელნიც უჭირავს საზოგადოებას, აგრეთვე წითელი სტადიონის ტერიტორიის გარეშე მდებარე კინო-თეატრების გამოკლებით;
- თ) ის დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და პირი, რომელიც ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ ში შემაჯალი რესპუბლიკების კანონმდებლობით განთავისუფლებულია ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდისაგან.

19. შენობების გადასახადით (მუხ. 27, პ. „ა“) შეიძლება დაიბეგროს, 30 მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, ის საცხოვრებელი სახლი, ფაბრიკა, ქარხანა, საწყობი, საეაქრო სადგომი, თეატრი და ყოველგვარი სხვა შენობა და ნაგე-

ბობა, — მათი დამხმარე შენობისაგან განუყოფლად, — რაც კერძო პირისა, საზოგადოებისა და საწარმოს, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებისა და საწარმოს სარგებლობასა ან მფლობელობაშია.

30. შენობების გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) ის შენობა, რაც არსებული წესით მიკუთვნებულია სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უჭირავს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო ნაწილებს;

ბ) ის შენობა, რაც არსებული წესით მიკუთვნებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებისათვის, სასახელდობრ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უჭირავს აღნიშნულ დაწესებულებას სასამსახურო სადგომად;

გ) გზათა სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა კუთვნილი შენობები, სარკინისგზო და წყალსავალ ტრანსპორტისათვის მიჩენილ მიწებზე მდებარე და რკინის გზასთან და წყალსავალ გზებთან უშუალოდ დაკავშირებული, რომელი შენობებიც უშუალოდ გამოიყენება გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ტრანსპორტის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის;

დ) შენობები ან ნაწილი შენობებისა, რაც სასამსახურო სადგომებად უშუალოდ უჭირავთ პროფესიონალურ კავშირებს და მათ ორგანოებს, შრომის სასახლეებს და მუშათა ორგანიზაციების კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათ, რომელი შენობებიც არსებული წესით მათთვის არის მიკუთვნებული, აგრეთვე ის შენობები და ნაწილი შენობებისა, რაც აღნიშნულ დაწესებულებათ უჭირავთ და შემოსავალს არ იძლევა, თუნდაც ეს შენობები არსებული წესით არ იყოს მათთვის დამტკიცებული;

ე) ის შენობები, რომელიც უჭირავს სოციალური დახლევის ცენტრალურ სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ სანატორიუმებს, დასვენების სახლებს და საინვალიდო დაწესებულებათ, რომელი შენობებიც უშუალოდ ამ დაწესებულებათა მიზნებისათვის გამოიყენება, იჯარით ან სხვა სახის საკომერციო ექსპლოატაციისათვის გაუყენლად;

ვ) ის საცხოვრებელი შენობები, რაც აგებულია ან აღდგენილია აღნაგობის უფლების ხელშეკრულების ძალით, — ვ წლის განმავლობაში დღიდან მათი აგებისა ან აღდგენისა;

ზ) ის შენობები, რაც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთ და მათ ოჯახებს ეკუთვნის — სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახებისა და უპირატესობის კანონთა კოდექსში აღნიშნულ საფუძველზე (სსრ კავშირის კან. კრებ. 1924 წ. 21 №-რი, მუხ. 198);

თ) ის შენობები, რაც სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთ უჭირავთ და არსებული წესით კონსერვაციის მდგომარეობაშია;

ი) ის შენობები, რაც უჭირავთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სამხედრო მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოთ და საავიაციო მრეწველობის სახელმწიფო ტრესტის საწარმოთ, რომელნიც სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის საჭიროებისათვის მარტოოდენ სამხედრო ხასიათის პროდუქციას აწარმოებენ;

კ) არაგასაქირავებელი საცხოვრებელი შენობები—მათი დამხმარე შენობებით—სოფლად, იმ შენობების გარდა, რაც მარტოოდენ სააგარაკო სადგომად გამოიყენება;

ლ) ის შენობები, რაც ისეთი მეურნეობის შედგენილებაში შედის, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნო გადასახადით დაიბეგრება;

მ) ის შენობები, რასაც იჯარით გაუყენებდა, თავისთვის და თავის მრეწველობისთვის გამოიყენებენ სოფლის ხელოსნები და შინამრეწველნი, აგრეთვე ის სასოფლო სახელოსნო და საშინამრეწველო საწარმონი, რომლებსაც ჰყავთ არა უმეტეს სამი დაქირავებული მუშისა.

შენიშვნა 1. სამის წლის გასვლის შემდეგ დღიდან შენობის აგებისა ან აღდგენისა (ამა მუხლის „ვ“ პ.) შენობის გადასახადი გადაჰდება ამშენებელს ან მისი უფლების მენაცვლეს მთლად აღნაგობის ხელშეკრულობის მოქმედების ვადის განმავლობაში არა უმეტეს ხვედრი განაკვეთის 50-სა, უკეთეს აგებული ან აღდგენილი მფლობელობის საცხოვრებელი სივრცე შეადგენს მთლად შენობის სივრცის 75% მინც;

შენიშვნა 2. ამა მუხლის „ი“ პ-ში აღნიშნულ საწარმოს მიერ დაქერილ შენობაში, უკეთეს ამ საწარმოში კეთდება ნაწილობრივ სამხედრო, ნაწილობრივ-კი სამოქალაქო ხასიათის პროდუქცია, გადასახადისაგან განთავისუფლდება მხოლოდ შენობის ის ნაწილი, სადაც მოთავსებულია სამხედრო ხასიათის პროდუქციის მწარმოებელი საამქრო; თანაც შერეულ საწარმოთა განთავისუფლება მოხდება ამ საწარმოთა სამხედრო და სამოქალაქო პროდუქციის პროპორციის მიხედვით.

31. შენობის გადასახადი აიღება არა უმეტეს შენობის მატერიალური ღირებულების ერთი მეოთხედი პროცენტისა; ეს ღირებულება განისაზღვრება შეფასებით იმ წესების თანახმად, რასაც სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს.

32. შენობის გადასახადს გადაიხდის შენობის მესაკუთრე, ხოლო იხ შემთხვევაში, როდესაც შენობას ფაქტიურად სხვა პირი სარგებლობს (ფიზიკური ან იურიდიული),—ფაქტიური მოსარგებლე.

33. იმ ტვირთის გადასახადის გადახდევინება, რომელიც შემოიზიდება და გაიზიდება რკინის გზით და წყალსაველი გზით (მუხ. 27 პ. „ბ“), უნდა ნიხდეს რკინის გზის სადგურზე, ნავთსაყურზე და ნავთსადგურზე ყველა, რკინის გზით და წყალსაველი გზით შემოტანილ და გატანილ ტვირთზე, 34 მუხ. აღნიშნულ გამონაკლისით.

შენიშვნა 1. იმ ადგილების კატეგორიას, სადაც შეიძლება ამა მუხლში აღნიშნული გადასახადის გადახდევინება, განსაზღვრავს ა/კსტსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა 2. იმ ტვირთის გადასახადი, რომელიც შემოიზიდება საერთო ქსელის რკინის გზის დანიშნულების სადგურზე და გადაიცემა კერძო სარგებლობის შტოზე, გადახდევინებულ იქნება საერთო ქსელის დანიშნულების სადგურზე და კერძო სარგებლობის შტოზე აღარ უნდა დაიბეგროს.

34. ადგილობრივი სატიერთო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავი-
 სუფლდება:

ა) ის ტვირთი, რაც გადაიზიდება როგორც რკინის გზებით, ისე საზღვაო და
 სამდინარეო ტრანსპორტით, მათ შორის წყალ-ტივტივითაც, სსრ კავშირის ერთი
 პუნქტიდან მეორემდე, აგრეთვე რაც შემოიზიდება სსრკ ფარგლებში უცხოე-
 თიდან ან გაიზიდება უცხოეთში სსრ კავშირის ფარგლებიდან, ან და გადაი-
 ზიდება სსრ კავშირის ტერიტორიით ერთ უცხო სახელმწიფოდან მეორე
 უცხო სახელმწიფოში—რკინის გზის ყველა კიდეთშორისო სადგურზე, ნავთ-
 სადგურზე და ნავთსაყუდზე (საექსპორტო და საიმპორტო ტვირთი აგრეთვე
 სანაპირო სადგურსა, ნავთსადგურსა და ნავთსაყუდზე), სადაც ეს ტვირთი გზა-
 ში მსვლელობის დროს გაივლის თავდაპირველი გაგზავნის პუნქტიდან საბოლოო
 დანიშნულების პუნქტამდე (სატრანზიტო ტვირთი);

ბ) ის ტვირთი, რაც შემოიზიდულია სათანადო წესების დაცვით იმ საწყო-
 ბებსა და სადგურებზე, რომლებიც, დადგენილი წესისამებრ, გამოცხადებულია
 მოზიდვის საწყობად და სადგურად, ადგილობრივ ბაზარზე გასატანი რაოდენო-
 ბის გამოკლებით;

გ) ის სასოფლო და სატყეო მეურნეობის პროდუქტი, აგრეთვე მარილი,
 რაც მოიზიდება, შესანახი, გასაწმენდი, გასაშრობი ან გადასამუშავებელი ტვირ-
 თის მოზიდვისათვის არსებული წესების დაცვით, იმ საწყობსა, წისქვილსა, მარ-
 ცვლის საბურღავსა და ქარხანაში, რომელიც არსებული წესისამებრ მოზიდვის
 საწყობად, წისქვილად, მარცვლის საბურღავად არის გამოცხადებული, ადგილო-
 ბრივ ბაზარზე გასატანი რაოდენობის გამოკლებით;

დ) ნავთიული ტვირთი წყალსავალ ტრანსპორტიდან რკინის გზაზე ან წინა-
 უკმოდ გადაწყვეის დროს, — ადგილობრივ ბაზარზე გასატანი რაოდენობის გა-
 მოკლებით;

ე) საზღვარგარეთ გასატანი პურეული ტვირთი, პურ-ფურაჟი და ზეთეუ-
 ლი პროდუქტები, როგორც ნედლი ისე გადამამუშავებული, აგრეთვე გადამამუშა-
 ვების ნარჩენი (ქატო, კაპტონი და სხ.);

ვ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის კუთვნილი
 ტვირთი, რაც გადაიზიდება დაწესებული სამხედრო ხასიათის მოთხოვნით და
 დანიშნულია მარტოოდენ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარია-
 ტის საჭიროებისათვის;

ზ) რკინის გზებისა ან წყალსავალი ტრანსპორტის კუთვნილი ტვირთი,
 რაც დანიშნულია მარტოოდენ რკინის გზებისა და წყალსავალი ტრანსპორტის
 საექსპლოატაციო საჭიროებისათვის, გარდა იმ ტვირთისა, რასაც ჰგზავნის და
 იღებს ნარდად მომუშავე.

თ) სარკინისგზო და წყალსავალი გზით გადასატანი განძეულობა ფინანსთა
 სახალხო კომისარიატებისა;

ი) საფოსტო ტვირთი, აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარია-
 ტის ტვირთი, რაც მარტოოდენ დანიშნულია ყოველგვარი კავშირგაბმულობის
 საექსპლოატაციო საჭიროებისათვის, იმ ტვირთის გარდა, რასაც ჰგზავნის და
 იღებს ნარდად მომუშავე;

კ) პატიმრების ტვირთი;

ლ) დიპლომატიური ფოსტა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და აგრეთვე ფოსტა შუცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა სსრ კავშირის მთავრობასთან;

მ) სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად დანიშნული ტვირთი;

ნ) რკინის გზით და წყალსავალი გზით გადასატანი ქონება იმ გადასახლებულთა, რომელნიც გადასახლებდიან მიწათმოწყობისა და ახალ ადგილებზე დასახლების წესების მიხედვით (გადასახლებულთა ბარგი), აგრეთვე უმუშევართა ტვირთი, რაც გადაიტანება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ მუშათა მასიური გადაყენის წესისამებრ;

ო) ტვირთი ბეჭდვითი ნაწარმოების სახით, რასაც ჰგზავნის სახელმწიფო და პარტიული გამოცემლობა, აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა გამოცემლობა.

პ) სამგზავრო ბარგი, რის უსასყიდლოდ გადატანაც ნებადართულია საერთოდ მგზავრისათვის.

შენიშვნა 1. თავდაპირველი გაგზავნისა და საბოლოო დანიშნულების პუნქტების მიმართ ყველა ტვირთი, მათ შორის საექსპორტო და საიმპორტოც, სატრანზიტო ტვირთად არ ჩაითვლება.

შენიშვნა 2. უკეთუ პირვანდელი გაგზავნის პუნქტსა და საბოლოო დანიშნულების პუნქტს შორის არსებობს პირდაპირი სარკინისგზო, წყალსავალი ან შერეული მიმოსვლა, იმის დასამტკიცებლად, რომ ტვირთი სატრანზიტო (ამა მუხლის „ა“ პ.), გამოდგება გადაზიდვის დოკუმენტები (სატვირთო ბირათი, კონოსამენტი), აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულება ტვირთის გარშემოვლით გაგზავნის შესახებ.

უკეთუ ტვირთის თავდაპირველი გაგზავნას პუნქტსა და საბოლოო დანიშნულების პუნქტს შორის პირდაპირი მიმოსვლა არ არსებობს, და ტვირთი გზად ერთს ან რამდენსავე პუნქტში (სადგური, ნავთსაყუდი) ხელახლა უნდა გადაიგზავნოს—გადაზიდვის ახალი დოკუმენტების შედგენით,—გადამგზავნი პუნქტის მიერ, იმის დასამტკიცებლად რომ ტვირთი სატრანზიტოა, მიიღება ის გარემოება, რომ სატვირთო დოკუმენტებში, პირდაპირი მიმოსვლის უკანასკნელ სადგურთან (ნავთსაყუდი) ერთად, აღნიშნულ იქნება აგრეთვე საბოლოო პუნქტი ტვირთის დანიშნულებისა. ეს გავრცელება აგრეთვე ისეთ შემთხვევაზედაც, როდესაც ტვირთი გადმოტვირთვის სადგურიდან (ნავთსაყუდი) უახლოეს დატვირთვის სადგურამდე (ნავთსაყუდი) გადაიზიდება შარაგზის ტრანსპორტით—მსვლელობის განსაჯრძობად.

შენიშვნა 3. ამა მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პ.პ.-ში აღნიშნული ტვირთი განთავისუფლდება ადგილობრივი გადასახდისაგან მხოლოდ მოზიდვისა და გადაზინვის პუნქტებში.

3ა. რკინის გზით მოზიდულ და გაზიდულ ტვირთის გადასახდის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) სპეციალური ტარიფების სქემით გადასაზიდ ტვირთზე—ოთხკეც რაოდენობას;

ბ) საქონლის ბაგაჟისა, სამგზავრო სისწრაფის ტვირთისა, სამგზავრო ბაგაჟისა და ნორმალური ტარიფის პირველი ოთხი კლასის ტვირთისათვის—ოცდაათკეც რაოდენობას;

გ) ყველა დანარჩენ ტვირთზე—ამა თუ იმ ტვირთის 1 კილომეტ. მანძილზე გავლისათვის არსებულ სატონნო, საცალო ან სავაგონო დაწყებითი განაკვეთის ათკეც რაოდენობას იმ ტარიფისა (საერთო, სასპეციალო ან საგამონაკლისო), რაც შეეფარდება უწყებულ გადაზიდვას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტარიფი გამოიხატება მთლად გადაზიდვის მანძილის სასყიდლის სახით,—სათანადო საერთო ტარიფის დაწყებითი განაკვეთის მიხედვით.

შენიშვნა 1. იმ ტვირთის გადასახადის განაკვეთი, რაც 50 კილომ. არა უმეტეს მანძილს გაივლის, არ უნდა აღემატებოდეს 20% , ხოლო იმ ტვირთისა, რაც გაივლის 51-დან 100 კლმ-მდე,— 40% -ს იმ განაკვეთისა, რომელიც 100-კლმ-ზე მეტი მანძილის გასაღველ ტვირთისათვის არის დაწესებული.

შენიშვნა 2. უკეთეს ტვირთის გადასახადი 20 კაპ. არ აღწევს, გადასახადი შეიძლება აღებულ იქნეს 20 კაპ. რაოდენობით.

36. საზღვაო და შინაგანი წყალსავალი გზებით გადასაზიდი ტვირთის გადასახადის განაკვეთი დაწესდება ისეთი ანგარიშით, რომ იგი არ აღემატებოდეს 60% იმ განაკვეთისას, რაც დაწესებულია სათანადო ადგილობრივი საბჭოს მიერ რკინის გზით გადასაზიდი შესაფერი ტვირთისათვის (მუხ. 35).

37. გადასახადის აკრეფას აწარმოებენ რკინის გზის სადგურებისა, ნავთსაყუდებისა და ნავთსადგურების აგენტები: შემოზიდულ ტვირთზე—მიმღებისათვის ტვირთის ჩაბარების დროს, ხოლო გასაგზავნ ტვირთზე—გამგზავნელისაგან ტვირთის მიღების დროს; გადასახადის გადახდა არ შეიძლება გადატანილ იქნეს დანიშნულების სადგურზე, ნავსაყუდზე ან ნავთსადგურზე.

გადასახადის აკრეფისათვის გადასახადის თანხიდან შეიძლება მიეცეს გასამრჯელო რკინის გზას, სანაოსნო საზოგადოებას ან ნავთსადგურს შემოსული გადასახადის არა უმეტეს 5% -ისა, ხოლო დიდ ქალაქებში, რომელთა სიასაც ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები განსახლებენ,—არა უმეტეს 3% -სა.

38. რკინის გზებით და წყალსავალი გზებით მოზიდული და გაზიდული ტვირთის ადგილობრივი გადასახადის შემოსავალი მიიქცევა უპირატესად რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ფონდის შესაქმნელად, 79 მუხლის წესისამებრ.

39. იმ გარიგების გადასახადი, რაც ქმნილია ან აღნუსხულია ბირჟაზე (მუხ. 27, პ. „გ“), არ უნდა აღემატებოდეს:

ა) იმ გარიგებისათვის, რაც ბირჟის სასაქონლო განყოფილებაში გაივლის, გარიგების თანხის 0, 1% -ს;

ბ) იმ გარიგებისათვის, რაც ქმნილია საფონდო ბირჟაზე და საქონლის ბირჟის საფონდო განყოფილებაში,—გარიგების თანხის 0, 05% -ს.

შენიშვნა 1. ბირჟაზე ქმნილი ან აღნუსხული გარიგების გადასახადისაგან განთავისუფლდება გარიგება სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციებზე და აგრეთვე სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური სალაროს გადახდის ვალდებულებაზე.

შენიშვნა 2. ბირჟაზე ქმნილი ან აღნუსხული გარიგების გადასახადი აღება ბირჟის კომიტეტის მიერ გარიგების ქმნისა ან აღნუსხვის დროს. გადასახადით შემოსული თანხები ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებს უნდა ჩაბარდეს თვეში ორჯერ მაინც.

40. ოქროს სამრეწველო საწარმოს გადასახადი (მუხ. 27, პ. „დ“) გადაჰხდება ყველა საწარმოს, რომელსაც მიზნად თქროს ძებნა, მიგნება და ამოღება აქვს, — არა უმეტეს მის მიერ ფაქტიურად ამოღებული ოქროს ღირებულების 2%-სა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული საწარმონი არ შეიძლება დაბეგრილ იქნენ სხვა ადგილობრივი გადასახადით და გამოსაღებით.

41. სამრეწველო ბალებისა და ბოსტნების გადასახადით (მუხ. 7, პ. „ე“) დაიბეგრება, შემდეგ მუხლში (42) აღნიშნული გამოწვევისათვის, ყველა ის ხეხილის ბაღი და ვენახი, მარწყვეულისა და სვიის ადგილები, ბოსტანი და ბაღი, რაც ისეთი ქალაქის ფარგალში მდებარეობს, რომელიც ადგილთა სასარეწაო გადასახადის განაწირობით მიკუთვნებულია პირველი სამი ზოლისათვის (უმაღლესი, საშუალო და საშუალოზე მაღალი), აგრეთვე რაც მდებარეობს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების დედა-ქალაქების ფარგალ-გარე, ხოლო არა უშორეს 10 ვერსია მანძილისა.

შენიშვნა. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ, მათის შეთანხმებით, აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობის თანახმად, გააერცვლონ გადასახადის გადახდევინება ისეთ ადგილებზედაც, რაც ამა მუხლში გათვალისწინებულ არ არის, უკეთუ ხელსაყრელი პირობები იქნება ამ ადგილებში სამრეწველო მეზღვებისა და მეზღვების განვითარებისათვის (ბაზრის სიახლოვე, გასაღების შესაძლებლობა და სხ.).

42. სამრეწველო ბალებისა და ბოსტნების გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) ისეთი ბაღი და ბოსტანი, რომლის ექსპლოატაციის სოციალური უზრუნველყოფისა, ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატების ორგანოები ეწევიან მათ მიერ შესანახი ინტერნატების უშუალო საჭიროებისათვის;

ბ) ისეთი ბაღი, რომელიც ქალაქად წითელი არმიისა და ფლოტის სამსახურში მყოფი პირის ოჯახის სარგებლობაშია და უშუალოდ შემუშავებული იქნება აღნიშნული ოჯახის წევრების მიერ, დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, უკეთუ ოჯახზე მოდის არა უმეტეს 120 კვადრ. საყენისა.

შენიშვნა. ამა პუნქტის მოქმედება გავრცელდება აგრეთვე წითელი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციამდე და უვადო შვებულებაში დათხოვნილზე და მათ მზრუნელობაზე მყოფ მათი ოჯახის წევრებზე — ერთი წლის განმავლობაში დღიდან დემობილიზაციისა და უვადო შვებულებაში დათხოვნისა.

47. წინა მუხლში (46) აღნიშნული ზედნართი არ უნდა აღემატებოდეს ორ (2%) ს) პროცენტს სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთათვის და ხუთ (5%) ს) პროცენტს—ყველა დანარჩენი მომხმარებლისათვის.

48. მერქანის დამმზადებელი პირი და დაწესებულება შეიტანს 46 მუხლში აღნიშნულ გამოსაღებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოში თავის ხვედრ სამორე სასყიდელთან ერთად იმ საფუძველზე და იმ ვადაზე, რაც საამისოდ იქნება განსაზღვრული.

49. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები, არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა, ჩაბარებენ მათ მიერ მიღებული გამოსაღების თანხებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო სალაროს, ადგილებრივ სახსარში ჩასარიცხად.

50. ოთხთეხი საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტის სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვის გამოსაღები (მუხ. 26, პ. „ზ“) დაწესდება საქონლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადარეკისათვის ვაჭრობის ან მრეწველობის მიზნით, და აგრეთვე ცხოველის უმი პროდუქტის გაყიდვის ადგილებში (ბაზარი, საქულბაქო და სხვ.).

51. წინა მუხლში (50) აღნიშნული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს გასასინჯი ოთხთეხი საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტის ნორმალური შეფასების $\frac{1}{2}$ %-ს.

შენიშვნა. საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტის ნორმალურ შეფასებას განსაზღვრავს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

52. ოთხთეხი საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტის სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვისათვის გამოსაღების გადახდევინება შეიძლება მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც ეს გასინჯვა მოწყობილია და იმ შემთხვევაში, უკეთეს გასინჯვა ფაქტიურად სწარმოებს.

53. ცხოველის უმი პროდუქტის გასინჯვისათვის გამოსაღების გადახდევინება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ამ უმი პროდუქტის მომცემი საქონლის გასინჯვისათვის დაკვლის წინ ან დაკვლის შემდეგ გამოსაღები გადახდილ არ არის.

54. ოთხთეხი საქონლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადარეკის თუ გადაზიდვის დროს საქონლის სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვა უნდა მოხდეს ერთ-ერთ ადგილას, უპირატესად—იმ ადგილას, საიდანაც საქონლი იგზავნება.

შენიშვნა. უკეთეს საქონელი ან ცხოველის უმი პროდუქტი შორს მანძილზე გადაირეკება და გადაიზიდება დიდ ცენტრებში, შეიძლება, ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრული წესების თანახმად, გამოსაღები მეორედ იქნეს გადახდევინებული, ვინიციობაა საქონლისა ან ცხოველის უმი პროდუქტის ხელმეორედ გასინჯვა საჭიროდ იქნა ცნობილი.

55. ოთხთეხი საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტის სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვისათვის გამოსაღების დაწესების დროს აღმასრულებელი

კომიტეტი, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეადგენს იმ საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტების ნუსხას, რაც ვეტერინარულ-სანიტარულად გასინჯულ უნდა იქნეს გამოსაღების გადახდით.

56. გამოსაღების დაწესებისათვის აღმასრულებელი კომიტეტი იხელმძღვანელებს საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტის ნორმალურ შეფასებას.

57. 27 მუხლში ჩამოთვლილ ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გარდა, ა/კსფსრ-ში შემაჯავლი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ, —რაც დაუყოვნებლივ ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა აცნობონ, —მისცენ ადგილობრივ საბჭოებს უფლება, ადგილობრივი სახსარის გასაძლიერებლად, —შემოიღონ და გადაახდევინონ სხვა გადასახადები და გამოსაღები იმ ობიექტებზე, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადით არ დაიბეგვრება. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადით დასაბეგვრი ობიექტების ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღები, რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის, აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ანარიცხები და მათი ზედნართები, რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის, შეიძლება დაწესებულ იქნეს მარტოოდენ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის მიერ დამტკიცებული ადგილობრ. ფინანს. დებულების 41 მუხ.)

58. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ სსრკ და ა/კსფსრ კანონმდებლობის წესით განსაზღვრულ გამოწაკლისთა დამატებითი გამოწაკლისები ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა სფეროში, აგრეთვე დაჰყონ კატეგორიებად დასაბეგრი ობიექტები და გადახდელნი; თანაც სხვადასხვა კატეგორიისათვის დანიშნონ სხვადასხვა განაკვეთი, იმ პირობით-კი, რომ ეს განაკვეთები არ აღემატებოდეს ამა დადებულებით დაწესებულ განსაზღვრულ რაოდენობას (მუხ. 59).

59. ამა დებულებით და მისი დამატებით გათვალისწინებული გადასახადები და გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება ამავე დებულებითვე დაწესებულ უმაღლეს განაკვეთებს (იხ. ამა მუხლის დაწარით).

უკიდურესი განაკვეთების გადამეტება შეიძლება მხოლოდ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით, ამა დებულების 27 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებულ გადასახადთა მიმართ და ა/კსფსრ კანონმდებლობის წესით — იმავე მუხლით გათვალისწინებული სხვა გადასახადების მიმართ.

60. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების ნარჩენის გადახდევინება, აგრეთვე შენაწერის შეტანის ვადის გადადება და განაწილება, ნარჩენის მოხსნა და იმ თანხების დაბრუნება, რაც გადასახადის სახით არასათანადოდ არის შესული, მოხდება გადასახადთა გადახდევინების დებულებით დადგენილ საფუძველზე (სსრკ კან. 1925 წ. 70 № რი, მუხ. 581).

61. ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სფეროში საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედებისა და განკარგულების განსაზღვრების წესი განისაზღვრება ა/კსფსრ-ში შემაჯავლი რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებით.

კ ბ რ ი IV.

სასუბვენციო ფონდები.

62. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია სასუბვენციო ფონდი, რომლის დანიშნულებაა—ფინანსიურად მოაგვაროს ადგილობრივი ბიუჯეტები მით, რომ წილადობრივი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ ხარჯებში იმ მიზნებისათვის, რაც ყოველწლივ ა/კსფსრ კანონმდებლობის წესით გაითვალისწინება.

63. სახელმწიფო სასუბვენციო ფონდები იმ მიზნით შეიქმნება, რათა ფინანსიური დახმარება გაეწიოს ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქებს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მარჯებს—ადმინისტრატიული, სამეურნეო და კულტურულ-სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დარგში სახელმწიფო გეგმის განხორციელებისათვის, რის ხარჯებიც, ამა დებულების თანახმად, დაკისრებულია ადგილობრივ სახსარზე.

64. 62 მუხლში აღნიშნული ფონდებიდან გასაცემი დახმარება მიიქცევა უპირატესად ადგილობრივ არსებული დაწესებულებების ქსელის შესანახად და ახალ ღონისძიებათა განსახორციელებლად გზათა მშენებლობისა, სახალხო განათლებისა, სახალხო ჯანმრთელობისა და სასოფლო მეურნეობის სფეროში.

65. ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც-კი 62 მუხლში აღნიშნულ ფონდებიდან დახმარებას მიიღებენ, მოვალენი არიან:

ა) ყველა აღნიშნული დახმარება ხარჯონ მარტოოდენ პირდაპირი დანიშნულებისამებრ;

ბ) შეასრულონ ვალდებულება მეურნეობის სათანადო დარგის სამეურნეო პროგრამის განხორციელებისათვის და

გ) აწარმოონ ცალკე ანგარიშგება აღნიშნული ფონდებიდან მიღებული დახმარების თაობაზე.

66. ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებ შორის აღნიშნული ფონდების განაწილება მოხდება ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების წესისამებრ.

67. სასუბვენციო ფონდები გატარებულ იქნება ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე სახარჯთაღრიცხვო დანაყოფით და განასივნებულ იქნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ თანხებად ა/კსფსრ ში შემავალ რესპუბლიკებ შორის—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

68. თვითფული საბიუჯეტო წლის დაწყების წინ, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, სათანადო სახალხო კომისარიატებთან ერთად, ამა თუ იმ ცალკე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ეკონომიური ძალღონისა, მისი ადგილობრივი ფინანსიური მდგომარეობისა და საჭიროებათა მეტნაკლებობის მიხედვით, შეადგენენ შემდეგი საბიუჯეტო წლისთვის განსაზღვრული სასუბვენციო ფონდების განაწილების პროექტს

და წარუდგენენ დასამტკიცებლად სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

69. სახელმწიფო სასუბვენციო დახმარება საშემოსავლო წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტისა და ცალკე სახარჯთაღიწევო დაყოფით გატარებულ უნდა იქნეს ამა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, ხოლო სათანადო კარით სავსავლო ნაწილში.

70. აღნიშნული ფონდიდან ამა თუ იმ სამეურნეო ღონისძიებისათვის გადადებული ასიგნები უნდა დაიხარჯოს მხოლოდ იმ პირობით, უკეთეს ადგილობრივი სახსარიდან ამ ღონისძიების განსახორციელებლად ნამდვილად გადადებული იქნება განსაზღვრული თანხა.

71. კონტროლის გაწევა სასუბვენციო ფონდიდან გაცემულ წილადობრივ დახმარებათა სისწორით დახარჯისთვის დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატს—საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს სახით.

პ ა რ ი V.

მოწესრიგების ფონდები.

72. ნაკლები ძალღონის მქონე ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის ხელისშეწყობის მიზნით შეიძლება შედგენილ იქნეს მოწესრიგების ფონდი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობისა.

73. რესპუბლიკანური მოწესრიგების ფონდი შედგენილ იქნება ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით. ამ ფონდის შემადგენელ წყაროდ შეიძლება იყოს:

ა) ადგილობრივ სახსარში შესასვლელი საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლისა და გადასახადების ანარიცხები, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის იმ ნაწილის გამოკლებით, რაც მთლად საუბნო, სათემო და სადაირო ბიუჯეტში მიიქცევა და აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციების მოგების იმ ანარიცხების გამოკლებით, რასაც მიზნობრივი დანიშნულება აქვს;

ბ) ა/კფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით გადადებული სპეციალური ასიგნებები.

74. რესპუბლიკანური მოწესრიგების ფონდი ა/კფსრ-ში შემავალი თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაშია და განაწილება მის მიერ, სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, თვითეული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებ შორის პროპორციულად—მათი საჭიროებისდა მიხედვით, ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულთა ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში შესატანად.

75. ადგილობრივი მნიშვნელობის მოწესრიგების ფონდი შედგენილ იქნება სათანადო სამაზრო საბჭოს დადგენილებით; მისი დანიშნულებაა—მოაწესრიგოს ადგილობრივი ბიუჯეტი უწყებულები მაზრის ფარგალში. ამ ფონდის შედგენისა და გამოყენების წესი განისაზღვრება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით.

პ ა რ ი VI.

სპეციალური დანიშნულების ფონდები.

76. სპეციალური დანიშნულების ფონდებს ეკუთნის: სამრეწველო ფონდი, მუშათა ბინების მშენებლობის ფონდი, საგზაო ფონდი და სხვა ფონდები, რაც მე-80 მუხლის თანახმად არის დაწესებული.

77. სამრეწველო ფონდის დანიშნულებაა—ფინანსურად მოაგვაროს ადგილობრივი მრეწველობა. სამრეწველო ფონდის შედგენისა და გამოყენების წესი განისაზღვრება სსრკ-სა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სპეციალური კანონებით.

78. მუშათა ბინების მშენებლობის ადგილობრივი ფონდი დანიშნულია მუშათა ბინების მშენებლობისა და რემონტისათვის ან მუშათა ბინების სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად, აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტის გასაცემად მუშათა ბინების იმ მშენებლობისა და რემონტის საქმისათვის, რასაც აწარმოებენ სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებანი და საწარმონი და ადგილობრივი საბჭონი. ამა მუხლში აღნიშნული ფონდის შემადგენელი წყარო და მისივე შენახვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება სსრკ-სა, ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების საკუთრებული კანონებით.

79. საგზაო ფონდი შეიძლება იყოს როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობისა და მისი მიზანია ადგილობრივი საგზაო მშენებლობის საქმის ფინანსურად მოგვარება.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის საგზაო ფონდი შედგენილ იქნება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებით. ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობისა,—თანახმად ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ნებადართვისა, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა, ავტონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და იმ მაზრების აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებით, რომელნიც ავტონომიურ რესპუბლიკებში არ შედიან.

ამ ფონდების შედგენისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით; კერძოდ, ამ ფონდების შესადგენად მიიქცევა, ამა დებულების 38 მუხლის წესისამებრ, იმ ტვირთის ადგილობრივი გადასახადის შემოსავალი, რაც რკინის გზით და წყალსავალი გზებით შემოიზიდება და გაიზიდება.

80. 76, 77, 78 და 79 მუხლებში აღნიშნული ფონდების გარდა, შეიძლება, აქსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ, შედგენილ იქნეს კომუნალური ფონდები—კომუნალურ საწარმოთა ფინანსითურად მოგვარებისათვის, აგრეთვე სხვა სპეციალური ფონდებიც, როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი, რომელთა დანიშნულებაა ადგილობრივი მეურნეობის ცალკე დარგების ფინანსითურად მოგვარება.

კ ა რ ი VII.

ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა და დამტკიცება.

81. ადგილობრივი ბიუჯეტები შედგენილ იქნება თვითეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისათვის ცალკე და, ამისდამიხედვით, განიყოფება დამოუკიდებელ ბიუჯეტებად: სამაზრო, საქალაქო და საუბნო—სომხეთის სსრ-ში, სათემო—საქართველოს სსრ-ში და სადაირო აზერბაიჯანის სსრ-ში, შტატგარეშე ქალაქებისა, და სხვა ბიუჯეტები, რაც აქსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით განისაზღვრება.

82. ადგილობრივი სახსარიდან ყოველგვარი ხარჯის გაწევა შეიძლება მართოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს სათანადო კრედიტი ვათვალისწინებულაა წლიური ბიუჯეტით ან დამატებითი ხარჯთაღრიცხვით:

83. ძირითად ადგილობრივ ბიუჯეტად ითვლება: საქალაქო ბიუჯეტი, სამაზრო ბიუჯეტი ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი მაზრისა, საუბნო ბიუჯეტი—სომხეთის სსრ-ში, სათემო ბიუჯეტი—საქართველოს სსრ-ში და სადაირო ბიუჯეტი—აზერბაიჯანის სსრ-ში.

დანარჩენი ადგილობრივი ბიუჯეტები ქვემდგომ ბიუჯეტების მომწესრიგებელ ბიუჯეტებად ითვლებიან და მათი დანიშნულებაა—დაჰფარონ იმ დაწესებულებათა და ღონისძიებათა ადგილობრივი ხარჯები, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მათზე რამოდენადმე დაბლა მდგომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებს, ან რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მთლად იმ ტერიტორიისათვის, რაც ამა თუ იმ საბჭოს ექვემდებარება.

84. საეალდებულო მინიმალური ნუსხა იმ შემოსავლისა და ხარჯებისა, რაც მოთავსებულ უნდა იქნეს ძირითად ბიუჯეტებში (მუხ. 83), დაწესდება ყოველწლიურად აქსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით.

85. ადგილობრივი ბიუჯეტი შედგენილ უნდა იქნეს ერთის წლისათვის. ადგილობრივი ბიუჯეტის საბიუჯეტო წლის სათაებლო ვადები უნდა ეთანაბრებოდეს სსრკ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დადგენილ ვადებს.

86. ადგილობრივი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილი შედგენილ უნდა იქნეს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული სახარჯთაღრიცხვო ნომენკლატურის მიხედვით,

თავისუფლად განაგებდეს საბრუნავ სახსარს, ამ საწარმოს შემოსავალი და ხარჯი ბიუჯეტში შეიძლება გატარებულ იქნეს ჯამობრივ თანხებად ერთი სახარჯთაღრიცხვო დანაყოფით შემოსავლისათვის და ერთიც—ხარჯებისათვის; ხოლო დეტალები აღინიშნოს ბიუჯეტთან დართულ ხარჯთაღრიცხვაში;

დ) ადგილობრივი მეურნეობის საერთო სისტემიდან რომელიმე საწარმოს გამოცალკეება ფინანსურად შეიძლება მარტოდენ: 1) უკეთეს სპეციალურად გადადებულია განსაზღვრული სახსარი ამ საწარმოს აღდგენისა და გაძლიერებისათვის, ან 2) უკეთეს საწარმო გადადის კომერციულ ანგარიშზე, ან 3) უკეთეს საწარმო იჯარით გაიცემა, ან და 4) უკეთეს საწარმო გადადის საკონცესიო პრინციპზე;

ე) წინა პუნქტში აღნიშნული საწარმოს საღლო შეიტანება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი შემოსავალ-გასავლის საერთო ხარჯთაღრიცხვაში განსაკუთრებული მუხლით, რისთვისაც შესაფერ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—კომერციულ ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში მყოფი ტრესტების) შესახებ—1923 წ. ივლისის 17 თარიღით გამოცემული („სსრკ ცენ. აღმ. კ-სა, სახ. კომ. საბჭ. და შრ. და თავდაცვის საბჭოს ვესტნიკი“-ს 1923 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 29) დეკრეტის მე-20, 21 (21 მუხლის შენიშვნითურთ) და 22 მუხ. დადგენილი წესი.

92. სოციალური დაზღვევის ფონდიდან ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებისათვის გადაცემული თანხები, დაზღვეულთათვის საკურონალო დახმარების აღმოსაჩენად, დახარჯულ უნდა იქნეს სოციალური დაზღვევის ფონდების დებულების თანახმად, ამ სახსართა განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვების თანდართვით.

93. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში აღრიცხული ყოველი თანხის პირდაპირ და ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ნაგარაუდღევი ყოველი ხარჯის პირდაპირ მოთავსებულ უნდა იქნეს განმარტება ან ცნობები, რაც საფუძვლად დაედვა მათი ბიუჯეტში შეტანას; აგრეთვე აღნიშნულ უნდა იქნეს დაწვრილებითი გამოანგარიშება, რაც დაადასტურებს აღრიცხული თანხის რაოდენობას; უფრო დაწვრილებით განმარტება და ბიუჯეტში შეტანილი თანხის სისწორით გამოანგარიშების დამადასტურებელი ცნობები მოთავსებულ უნდა იქნეს ბიუჯეტის განმარტებითი წერილში ან ბიუჯეტის დანართებში.

94. ბიუჯეტის განმარტებითი წერილი უნდა შეიცავდეს სახარჯთაღრიცხვო წესით შესასრულებელი ხარჯებისა და ამ ხარჯების დასაფარვად აღრიცხული შემოსავლის დაწვრილებითი ანალიზს; ამ წერილში მოთავსებულ უნდა იქნეს განმარტებანი, როგორც საერთოდ მთელი ბიუჯეტისა, ისე მისი ცალკე ნაწილების შესახებ; თანაც აღნიშნულ უნდა იქნეს, რითი განესხვავება ეს ბიუჯეტი წინა პერიოდის ბიუჯეტს; ამას გარდა, წერილი უნდა შეიცავდეს ყველა იმ უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიების მიმოხილვას, რაც გამოხატულია ამა პერიოდის ბიუჯეტში, აგრეთვე ყველა იმ ცნობას, რაც ბიუჯეტში აღრიცხულ თანხებს განმარტავს.

95. თვითეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისათვის შედგენილი ბიუჯეტი დამტკიცებულ უნდა იქნეს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე

იმ წესით, რაც დადგენილი იქნება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

96. ბიუჯეტის დანართებში, ბიუჯეტით აღრიცხული თანხების რაოდენობის დამადასტურებელი გამოანგარიშებისა და განმარტების გარდა, აღნიშნულ უნდა იქნეს ის საანგარიშო სტატისტიკური ცნობები, რაც საჭიროა ამა თუ იმ ხარჯის დასასაბუთებლად, აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, ცნობები ადგილობრივი მეთურნობის ამა თუ იმ დარგის მდგომარეობის შესახებ, და სხვა საჭირო ცნობები.

97. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების უმაღლესი ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულის ბიუჯეტი, ყველა ქვემდგომი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულის ადგილობრივი ბიუჯეტების ჯამდების თანდართვით, დამტკიცების შემდეგ, გაეგზავნება სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატი, არა უგვიანეს ერთი თვისა, ყველა შემოხსენებულ მასალას, აგრეთვე საერთო რესპუბლიკანურ ჯამსს, განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად, წარუდგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

98. უკეთეს საბიუჯეტო წლის განმელობაში აღმოჩნდება ადგილობრივი შემოსავლის ახალი წყარო, რაც დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ არ არის, ან ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული გადაუდებელი ადგილობრივი ხარჯი, რის დაფარვაც შეუძლებელია მოულოდნელი ხარჯების დასაფარავად ბიუჯეტით გადადებული თანხებიდან, — შედგენილ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ბიუჯეტის დამატებად.

99. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ, საბიუჯეტო წლის განმელობაში წარმომდგარი ახალი, გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად შედგენილი დამატებითი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე სათანადო საშემოსავლო წყარო ამ ხარჯების დასაფარავად. ასეთ წყაროდ შეიძლება იყოს როგორც ახალი, საბიუჯეტო წლის განმელობაში გამოაშკარავებული შემოსავალი, აგრეთვე მოსალოდნელი ნამატი დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი ამა თუ იმ ცალკე შემოსავლისა.

100. დამატებითი ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ უნდა იქნეს ბიუჯეტების დასამტკიცებლად დადგენილი წესით.

პ ა რ ი VIII.

ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულება, ანგარიშგება და აღსრულების კონტროლი

101. დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულება დაეკისრება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს (ან ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმს—ამა დებულების 1-ლი მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში) და განხორციელება მის მიერ სათანადო საფინანსო ორგანოების მეშვეობით, ხოლო იქ, სადაც ასეთი ორგანოები არ არის,—უშუალოდ.

102. ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულებისათვის დაცულ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში აღნიშნული წესები.

103. ყოველი ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები და ყოველგვარი სხვა შემოსავალი, რაც ადგილობრივ სახსარში უნდა იქნეს ჩარიცხული, მათ შორის განყოფილებათა შემოსავალი და ამა დებულების 88 მუხ. „დ“ პუნ. აღნიშნულ საწარმოთა წმინდა მოგება, გადამხდელის მიერ შეიტანება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში.

104. არსებული წესით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ადგილობრივი საფინანსო განყოფილება, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მიწერილობის თანახმად, გაფხსნის აღმასრულებელი კომიტეტის ჯგროვან განყოფილებათა კრედიტებს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესასრულებლად.


105. ბიუჯეტით გახსნილი კრედიტის ხარჯვა უნდა სწარმოებდეს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილების ასიგნობებით სახარჯთაღრიცხვო წესისამებრ ჯგროვანი დანიშნულების საფინანსოების. აღმასრულებელი კომიტეტის არცერთ განყოფილებას უფლება არა აქვს თავისი ნებით შესცვალოს კრედიტის დანიშნულება ან გადაიტანოს ამა თუ იმ კრედიტზე რაიმე ხარჯი, რაც შეტანილ არ არის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

106. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება კრედიტების გადანაცვლება ერთი და იმავე კარის ფარგალში, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ წესისამებრ.

107. უკეთეს ხელთქონებული ადგილობრივი სახსარი საკმარისი არ იქნება ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად სათანადო პერიოდის განმავლობაში, აღმასრულებელი კომიტეტი, საფინანსო განყოფილების წარდგენის თანახმად, დაამტკიცებს ადგილობრივი ფულადი სახსარის განაწილების გეგმას ამ პერიოდისათვის, იმის მიხედვით, თუ რა საშემოსავლო თანხები აქვს ხელთ, რა თანხების შემოსვლას მოელის ამ პერიოდის განმავლობაში და რა თანდათანობით უნდა იქნეს გაწეული სახარჯთაღრიცხვო ხარჯები.

108. საბიუჯეტო წლის დამთავრებისას არგამოყენებული კრედიტები დახურულ უნდა იქნეს და ბიუჯეტით დაბოლოებული.

დაბოლოებული ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსარის ნაშთი და დავალიანება გადაიტანება შემდგომი ბიუჯეტში.



109. წლიური ბიუჯეტის დაბოლოებისას შედგენილ უნდა იქნეს მისი აღსრულების წლიური ანგარიში იმ ფორმის თანახმად, რაც დადგენილია ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისათვის; თანაც უნდა დაერთოს სათანადო განმარტებითი წერილი.

110. ბიუჯეტის დაბოლოებისას საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტები, ქალაქის საბჭოები და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენენ — კუთვნილებისამებრ — ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშის შედგენას. მაზრის საბჭოთა ყრილობისა ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის მიერ სამაზრო ბიუჯეტისა და სამაზრო ქალაქის ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საუბნო, სათემო და სადაირო ბიუჯეტებისა და შტატგარეშე ქალაქების ბიუჯეტების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, — ყველა აღნიშნული ანგარიში, სამაზრო საფინანსო განყოფილების მეშვეობით, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ დადგენილ ვადაზე, წარედგინება სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატს — ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების საერთო-რესპუბლიკანურ კრებულში მოსათავსებლად.

111. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების რესპუბლიკანური კრებულები წარედგინება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დადგენილი ფორმით, არა უგვიანეს 4 თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან.

112. წესი, ფორმა და ვადა პერიოდული ანგარიშგების წარდგენისა ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ სსრკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში — განისაზღვრება იმ ინსტრუქციებით, რასაც გამოსცემს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით (სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ დამტკიც. ადგილობრივი ფინანსების დებულების 78 მუხ.)

113. ადგილობრივი ფინანსების ანგარიშწარმოების ზოგად საფუძვლებს დაადგენს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატი (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის მიერ დამტკიც. ადგილობრივი ფინანსების დებულების 79 მუხ.)

114. ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისათვის კონტროლის გაწევა დაეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის ორგანოებს.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისათვის კონტროლის გაწევის წესებს დაადგენს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად. (სსრკ ადგილობ. ფინანს. დებულების მე 80 მუხ.)

ადგილობრივი ფინანსების დებულების 59-94 მუხ. დანართი.

ა/კსფსრ ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უმაღლესი უკიდურესი განაკვეთები.

№.წ. რიგზე.	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებების სახელწოდება.	უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი.					
		ქ.ქ. ბაჭოსა და ტფილისისათვის.		ქ.ქ. ერევანისა, ლენინაკანისა, ვანჯისა, ქუთაისისა, ბათუმისა და სოხუმისათვის		სხვა ადგილებისთვის.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1.	სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადი თვითეული კვადრ. საყენი ბაღისა და ბოსტნის სივრცისათვის წლიურად: ა) ტფილისსა და ბაქოში ბ) ქ. ერევანსა, ლენინაკანსა, ვანჯასა, ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში გ) სხვა ქალაქებში დ) დედა - ქალაქებიდან არა უშორეს, ვიდრე ათი ვერსის მანძილზე მდებარე ადგილებისათვის	—	15	—	—	—	0,6
		—	—	—	0,8	—	—
		—	—	—	—	—	0,4